დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების მხარდამჭერი სერვისების შეფასებისა და გაუმჯობესების საკითხები

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი: ნათია ქადაგიშვილი

2024

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორობის გაძლიერებისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი (CSD). მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის და CSD-ის შეხედულებებს.

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები....3
შესავალი....4
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოცდილება....4
ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის გამოცდილება....7
საკითხის აქტუალურობა....8
კანონმდებლობის მიმოხილვა....9
კვლევის მიზანი....10
საკვლევი საკითხები....10
კვლევის მეთოდი....10
კვლევის შეზღუდვა....11
კვლევის შედეგი....11
დასკვნა....15
რეკომენდაციები....16
ბიბლიოგრაფია....18

ტერმინთა განმარტებები

დაჭრილი სამხედრო მოსამსახურე - სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც საკონტრაქტო ან საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურში ყოფნის დროს დაზიანება მიიღო საბრძოლო მოქმედებების ან სამშვიდობო მისიის შედეგად.

დაშავებული სამხედრო მოსამსახურე - სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც საკონტრაქტო ან საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურში ყოფნის დროს დაზიანება მიიღო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად.

გრძელვადიანი სამკურნალო შვებულება - ავადმყოფობის გამო შვებულება, რომელიც გაიცემა სამხედრო-სამედიცინო კომისიის მიერ საომარი მდგომარეობის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ან სხვა სახის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის დროს დაჭრილი და დასახიჩრებული სამხედრო მოსამსახურის შემთხვევაში.

შესავალი

საქართველოში სამხედრო მოსამსახურეების სოციალურ საჭიროებებზე ზრუნვას დიდი ხნის ისტორია არ აქვს. სოციალურიმხარდაჭერისა და რეინტეგრაციის კუთხით ხელშეწყობის აუცილებლობა განსაკუთრებით დგას იმ სამხედრომოსამსახურეებთან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში და მიიღეს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ტრამვები.

ბენეფიციართა აღნიშულ კატეგორიაზე ზრუნვის ვალდებულება სახელმწიფოს აქვს, პირველ რიგში საკუთარი მოქალაქეების წინაშე, როგორც კანონმდებლობის მიხედვით, ისე მორალური, ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აღებული ვალდებულებების კუთხითაც.

აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი ეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იმ დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ამჟამადაც აგრძელებენ თავდაცვის ძალებში მსახურს. დღეის მონაცემებით, მათი რიცხვიშეადგენს 424 ბენეფიციარს.

ნაშრომში განხილულია მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების (მათ შორის ვეტერანთა სტატუსის მქონე პირები) მხარდაჭერის სერვისები და არა ზოგადად ვეტერანების, რომლებიც გაერთიანებულები არიან ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ქუდის ქვეშ და წარმოადგენენ გაცილებით დიდ ჯგუფს.[1]

დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციის ნაწილი ეყრდნობა კვლევას,რომელიც ჩატარდა ერთის მხრივ დაჭრილ/დაშავებულ მოსამსახურეებთან, მეორეს მხრივ კი უწყებაში მომუშავე სპეციალისტებთან.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოცდილება

დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებთან სოციალური მხარდაჭერის პროგრამები თავდაცვის სამინისტროში აშშ-ს მხარდაჭერით დაინერგა. პირველ ეტაპზე, 2014 წელს, ეს იყო მხოლოდ თანამედროვე პროთეზებით უზრუნველყოფა, 2015 წელს შეიქმნა დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის დეპარტამენტი, რომელიც მიზნად ისახავდა დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებსა და მათ ოჯახის წევრებზე ზრუნვის დასავლურ სტანდარტებს მიახლოებული მხარდაჭერის გრძელვადიანი სისტემის ჩამოყალიბე-

[1] *ვეტერანთა სახელმწიფო სამსახური- https://veterans.gov.ge/%e1%83%a9%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%a1-%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%ae%e1%83%94%e1%83%91/*

-ბას. დეპარტამენტის მუშაობის ძირითად სფეროს წარმოადგენდა დაჭრილი და დაშავებული სამხედროებისა და მათი ოჯახისწევრების საჭიროებების გამოვლენა, მათი საგანმანათლებლო, სპორტულ და სხვადასხვა აქტივობებში/ღონისძიებებში ჩართვა, ზოგადი სოციალური პრობლემების გადაჭრაში დახმარების აღმოჩენა.

2016 წლის დეკემბერში, რეორგანიზაციის შედეგად, აღნიშნული დეპარტამენტი გაფართოვდა და ჩამოყალიბდა სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი.

თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი ბენეფიტები:

- რეაბილიტაცია-საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებსა და სხვადასხვა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაჭრილ/დაშავებულ სამხედრომოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს მუდმივად უტარდებათ ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსი საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოჯისტიკის ცენტრის (აღმოსავლეთი) მარო მაყაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილიტაციო სამსახურში (დაბა წეროვანი). სარეაბილიტაციო ცენტრში რეაბილიტაციის კურსს ახორციელებს გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია სხვადასხვა პროფილის ექიმებითა და სპეციალისტებით (ექიმ-რეაბილიტოლოგი, ოკუპაციური და ფიზიკური თერაპევტი, ქეის-მენეჯერი, პროთეზისტ-ორთოდისტი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი). 2020 წელს, არსებული ცენტრის ბაზაზე, ამერიკელი პარტნიორების დახმარებით, აშენდა ახალი, უფრო მასშტაბური, თანამედროვე სტანდარტების სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც ბენეფიციარებს სთავაზობს გრძელვადიანი რეაბილიტაციისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას.
- ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია - სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილნი არიან ფსიქოლოგიური სერვისებით.
- ქეის-მენეჯერთა პროგრამა - თავდაცვის სამინისტროში მოქმედებს ქეის- მენეჯმენტის პროგრამა, რაც მოიცავს დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეებთან ინდივიდუალურ მუშაობას,სამედიცინო, სოციალურ, ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით.
- საცხოვრებლით უზრუნველყოფა - მძიმედ დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი არიან ბინებით. [2]
- პროტეზებით უზრუნველყოფა - მუხლს ზედა და ხელის ამპუტაციის მქონე ბენეფიციარებისათვის ხელმისაწვდომია გერმანული კომპანია „OTTO BOCK”-ის თანამედროვე, ჭკვიანი პროთეზებით.
- საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურებით უზრუნველყოფა - საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შპს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონეპირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრს“ შორის ყოველ წელს ფორმდება 300 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე საპროთეზო - ორთოპედიული მომსახურება მუდმივად უტარდებათ დაჭრილ სამხედრომოსამსახურეებს. სამხედრო მოსამსახურებს, რომლებსაც აქვთ ანოფთალმი, საჭიროებიდან გამომდინარე, უტარდებათ თვალის რეპროტეზირება;
- ფინანსური დახმარება -საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ფუნქციონირებს სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების თაობაზე შემოსული კორესპონდენციის განმხილველი კომისია,რომლის ფარგლებშიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს, მათ შორის დაჭრილ/ დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ერთჯერადი

[2] *საქართველოს თავდაცვის სამინისტრო- https://mod.gov.ge/ge/page/51/help*

ფინანსური დახმარება სხვადასხვა სამედიცინო და სოციალური პრობლემების დასაკმაყოფილებლად. ამასთანავე, საჭიროებისამებრ, მინისტრი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს ერთჯერად ფინანსურ დახმარებას.

- ერთჯერადი კომპენსაცია - სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრის/ დაშავების შემთხვევაში, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია ერთჯერადი დახმარება შემდეგი ოდენობით: მძიმე დაზიანება – 7000 ლარი; ნაკლებად მძიმე დაზიანება – 3000 ლარი.
- სახელფასო დანამატით უზრუნველყოფა - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იმ სამხედრო მოსამსახურეებს, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს, რომლებსაც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის, ან სხვა სახის სამშვიდობო ოპერაციებში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის შედეგად აქვთ სხვადასხვა ხარისხის დაზიანება, ხელფასთან ერთად ეძლევათ ყოველთვიური დანამატი(330; 385; 770; 990 ლარი).
- განათლების მიღებაში ხელშეწყობა - სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის (მეუღლე და შვილი)საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლისას უფინანსდებათ მათ მიერ გადასახდელი სწავლის წლიური საფასური,[3] ხოლო საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში აკრედიტებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლისას ეძლევათ მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის სტიპენდია სემესტრულად 750 ლარის ოდენობით. [4]
- ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა - სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის (მეუღლე და შვილი) უზრუნველყოფილნი არიან დაზღვევით.[5]
- ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში ხელშეწყობა - თავდაცვის სისტემის მოსამსახურეებს, მათ შორის დაჭრილ/ დაშავებულ პირებს და მათი ოჯახის წევრებს, ემსახურება ქ. გორის და ქ. ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლები. საჭიროების შემთხვევაში, დაჭრილ/დაშავებულ მოსამსახურეებს ოპერაციული მკურნალობა, რეაბილიტაცია უტარდებათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ (აშშ, გერმანია, ავსტრია, თურქეთი).
- ·სპორტული აბილიტაცია - რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის მიზნით, დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეებია სისტემატიურად მონაწილეობენ, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სპორტულ ღონისძებებში („ძლიერთა თამაშები“ , საზღვაო ქვეითთა თამაშები, საზღვაო ქვეითთა მარათონი, მარშირება რთულ რელიეფზე, საჰაერო ძალების თამაშები). სპორტული ღონისძიებებში მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრძელვადიან სამკურნალო შვებულებაშ მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისათვის. ეს მათ ეხმარება მოტივაციის ამაღლებაში, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.
- ·ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები - დაჭრილი/დაშავებული მოსამსხურეების მარდაჭერისა და მათი საზოგადოებაში რესოციალიზაციის, ოჯახის წევრების მცარდაჭერის და ბენეფიტების მიღების მიზნით, გაფორმებულია ურთიერთანმაშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა კერძო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. [6]

---

[3] *სოციალური მხარდაჭერა -https://defencesupport.mod.gov.ge/iam/benefite/32*
[4] *სოციალური მხარდაჭერა - https://defencesupport.mod.gov.ge/iam/benefite/33*
[5] *სოციალური მხარდაჭერა - https://defencesupport.mod.gov.ge/service/39*
[6] *სოციალური დაცვა - https://mod.gov.ge/ge/page/43/programs*

- დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი - 2016 წლიდან ფუნქციონირებს ფონდი, რომელიც თავდაპირველად ჩამოყალიბდა თავდაცვის სამინისტროში, შემდეგ კი გადავიდა კერძო სექტორის დაქვემდებარებაში. ფონდი სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით აფინანსებს მძიმე და ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანების მქონე თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეებს, მათ არასრულწლოვან შვილებს და მეუღლეებს, ასევე, ვეტერანის სტატუსის მქონე პირველი და მეორე ჯგუფის შშმ პირებს და მათ არასრულწლოვან შვილებს.
- დაჭრილ მებრძოლთა დღე - დაჭრილი მოსამსახურეების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მათ მიმართ პატივისცემის ხაზგასმის მიზნით დაარსდა დაჭრილ მებრძოლთა დღე, რომელიც 2021 წლიდან მოყოლებული 30 ივნისს აღინიშნება. ამ დღისადმი მიძღვნილღონისძებაშ ბენეფიციარებთან ერთად მონაწილეობენ მათი ოჯახის წევრები, თავდაცვის სამინისტროს, სამოქალაქო სექტორისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

ვეტერანთა ხახელმწიფო სამსახურის გამოცდილება

2014 წელს თავდაცვის სამინისტროს გამოეყო შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი და ჩამოყალიბდა სსიპ ვეტერანთა სახელმწიფო სამსახური, რომელიც პირდაპირ დაექვემდებარა საქართველოს მთავრობას. ვეტერანთა სახელმწიფო სამსახური აერთიანებს ყველა იმ ვეტერანს, ყოფილ და მოქმედ სამხედროებს, მოხალისეებს, რომელებმაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთღლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები.[7]

ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ბენეფიტებიდან დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის ვრცელდება შემდეგი ბენეფიტები:[8]

- საგადასახადო შეღავათი- ბენეფიციართა აღნიშნული ჯგუფი არ იბეგრება3000 ლარამდე მიღებული შემოსავლისას, ხოლო მკვეთრი და მნიშვნელოვანი შეზღუდვის მქონე ბენეფიციარები - 6000 ლარამდე მიღებული შემოსავლისას.
- საყოველთაო ჯანდაცვა - ვეტერანებისათვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ითვალისწინებს ცალკე პაკეტს. ასევე, ვეტერანთა გარკვეული ჯგუფისათვის ხელმისაწვდომია დამატებითი სამედიცინო მომსახურება.

---

[7] *ვეტერანთა სახელმწუფო სამსახურის დებულება- https://veterans.gov.ge/%e1%83%93%e1%83%94%e1%83%91%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%94%e1% 83%91%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%a8%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%ac%e1%83%94/*

[8] *ვეტერანთა სახელმწიფო სამსახური - https://veterans.gov.ge/%E1%83%AE%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/*

- ომის ვეტერანთა რეაბილიტაცია - შშმ სტატუსისან პენსიონერი ვეტერანებისათვის ხელმისაწვდომია სამკურნალო-პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო მომსახურებები (ლიმიტი- 250 ლარი).
- დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა - შშმ სტატუსის მქონე ვეტერანებს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დამხამარე საშუალებებით უზრუნველყოფისას, სარგებლობენ უპირატესი უფლებით და ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტის 100%-ით დაფინანსებით.
- შეღავათი მუნიციპალურ ტრანსპორტზე და რკინიგზით სარგებლობისას - შეღავათები ხელმისაწვდომია 5 მუნიციპალიტეტში - ქ. ბათუმის, ქუთაისის (შშმ ვეტერანებს), რუსთავის, ბორჯომის, ახალციხე. ბენეფიციარებისათვის ხელმისაწვდომია ავტობუსისთ და მეტროთი მგზავრობა უფასოდ, მიკროავტობუსით და რკინიგზნით მგზავრობა - 50% ფასდაკლებით.

გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებს, არსებული კანონმდებლობით, არ აქვთ ვეტერანის სტატუსი, ისინი ვერ სარგებლობენ ჩამოთვლილი ბენეფიტებით.

საკითხის აქტუალურობა

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მნიშვნელოვანია, რათა შეფასდეს არსებული პროგრამა და მოხდეს ხარვეზების დროული იდენტიფიცირება, რაც ერთის მხრივ გააუმჯობესებს დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეების ცხოვრების ხარისხსდა მხარს დაუჭერსმათ რეინტეგრაციას, მეორესმხრივ კი თავდაცვის სამინისტრო შეძლებს შეამციროს გრძელვადიანი ხარჯი და გააუმჯობესოს პროგრამების ეფექტურობა.

დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებზე ეფექტური ზრუნვის პოლიტიკის განხორციელება გაზრდის თავდაცვის სისტემის მოსამსახურეების ლოიალურობას უწყებისადმი. ასევე, ამ ფაქტორმა შესაძლებელია დადებითი გავლენა იქონიოს სისტემაში ახალი კადრების შედინების პროცესზე.

დაჭრილი მებრძოლების მხარდამჭერი პროგრამების გაუმჯობესებაზე ზრუნვის და ზოგადად ამ საკითხისადმი ყურადღების გამახვილება ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ბენეფიციართა ამ ჯგუფის საჭიროებებისა და ძლიერი მხარდამჭერი პროგრამების მნიშვნელობის შესახებ. მნიშვნელოვანია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების აქტიური ჩართულობა ბენეფიციართა ამ ჯგუფის გაძლიერებაში, სხვა განვითარებული ქვეყნების მსგავსად, მნიშვნელოვანია მხარდამჭერი პროგრამების მიმწოდებელი იყოს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედკერძო და/ან არასამთავრობო სექტორი.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროსთვის, როგორც ძალოვანი სტრუქტურისთვის, მნიშვნელოვანია შექმნას ერთიანი, გრძელვადიანი სტანდარტული პროცედურები, სამხედრო მოსამსახურის დაჭრის ან დაშავების შემთხვევებისთვის.

ამასთანავე, გამართული სოციალური მხარდაჭერისა და რესოციალიზაციის პროგრამა, შესაძებელია ნაწილობრივ გახდეს მოდელი ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ქუდის ქვეშ გაერთიანებული ბენეფიციარებისათვის.

აღნიშული პოლიტიკისდოკუმენი საინტერესოა პირველრიგში საქართველოს თავდაცვისსამინიტროსთვის. ასევე, ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურისთვის, იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მუშაობენ შშმ პირების მხარდაჭერის მიმართულებით, ნაწილობრივ კი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის, როგორც სახელმწიფოში სოციალური ბენეფიტების მთავარი მიმწოდებლისთვის.

კანონმდებლობის მიმოხილვა

არსებული კანონმდებლობით, დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები აქტიურ სამხედო სამსახურში დაბრუნების შემთხვევაში ექვემდებარებიან სამხედრო-საექსპერტო სამედიცინო კომისიის გავლას და მათი დაავადებების სიმძიმიდან გამომდინარე ექვემდებარებიან დათხოვნას თავდაცვის ძალებიდან (ბრძანება N360).[9]

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2008 წლის ომის შემდეგ, ასევე საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ინტენსიური მივლინების შედეგად, დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების უწყებაში შესანარჩუნებლად, ყოველწლიურად მუშავდება მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, „საომარი მდგომარეობის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ან სხვა სახის სამშვიდობო ოპერაციებში, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენებში მონაწილეობის დროს დაჭრილ ან დასახიჩრებულ სამხედრო მოსამსახურეს ეძლევა ავადმყოფობის გამო შვებულება”.[10] აღნიშნული პრაქტიკა არის დროებითი გამოსავალი და შეიძლება არ იყოს საუკეთესოპრაქტიკა, რადგან ეს ერთი მხრივ ხელს უშლის ბენეფიციარების სრულყოფილ რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას, მეორეს მხრივ კი უწყება სრულყოფილად ვერ იყენებს მის დაქვემდებარებაში მყოფ ადამიანურ რესურსს. ასევე, დროის გასვლასთან ერთად დღის წესრიგში დგება მათი საპენსიო ასაკის გამო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ბენეფიტების არსებული პაკეტის შეწყვეტასთან. დღეის მდგომარეობით, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოში არსებული სოციალურიპროგრამები, ასევე ვეტერანთასახელმწიფო სამსახურის შეღავათები არ არის საკმარისი, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ თავდაცვის სამინისტრო ინდივიდუალურად განიხილავს თითოეულ შემთხვევას და უწყებაში შენარჩუნების მიზნით ხშირ შემთხვევაში ხდება ამ სამხედრო მოსამსახურეების სამოქალაქო შტატზე გადანიშვნა.

გამოწვევად რჩება როგორც დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების სამკურნალო შვებულებიდან გამოყვანა, ასევე კარიერული ზრდა, რადგან სამხედრო სპეციფიკის და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ეს ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის.

---

[9] *„საქართველოს სამხედრო ძალებში სამხედრო-საექიმო ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“ 1996 წლის 24 დეკემბრის №360 ბრძანება - https://gmas.ge/2018/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9 8/16250/*

[10] *„სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №238 დადგენილებაში ცვლილების შეტანისთაობაზე - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5621143?publication=0*

კვლევის მიზანი

არსებული დოკუმენტის კვლევის მიზანია ერთის მხრივ შეაფასოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეებისათვის თავდაცისსამინისტროში[9] არსებული პროგრამები და გამოავლინოს ხარვეზები, მეორეს მხრივ კი მოახდინოს გასატარებელი ღონისძებების იდენტიფიკაცია.

საკვლევი საკითხები

- რამდენად იცნობენ თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეები უწყებაში არსებულ პროგრამებს, რამდენად მარტივია მათთვის ამ რესურსებზე წვდომა, როგორ აფასებენ მიღებულ მომსახურებას და რეინტეგრაციის პროცესში თავდაცვის სამინისტროს ჩართულობას?
- რა ხარვეზები არსებობს დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეების რესოციალიზაციის პროცესში?
- გრძელვადიან პერსპექტივაში, რა ტიპის მხარდაჭერა სჭირდებათ დაჭრილ/დაშავებულ მოსამსახურეებს სახელმწიფოსგან?

კვლევის მეთოდი

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდი-ერთის მხრივ ღია და დახურული კითხვარით, ანონიმურად, Google forms-ის დახმარებით, გამოკითხულ იქნა როგორც სამკურნალო შვებულებაში მყოფი, ისე აქტიურ სამხედრო სამსახურში და სამოქალაქო შტატზე გადანიშნული დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეები; მეორეს მხრივ კი სტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა თავდაცვის სამინისტროს იმ სპეციალისტებთან, რომლებიც მრავალი წელია მუშაობენ დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეების რესოციალიზაციის მიმართულებით და აქვთ პრაქტიკიდან მიღებული მნიშვნელოვანი ცოდნა ამ სფეროში.

აღნიშნული მეთოდი შეირჩა, რათა საკითხის შესწავლა და მნიშვნელოვანი კომპონენტების გამოკვეთა მომხდარიყო ორივე პერსპექტივიდან - როგორც ბენეფიციარებიდან, ისე პროგრამების მიმწოდებლებიდან.

კვლევის შეზღუდვა

კვლევის შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მიუხედავად ანონიმურობისა, დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეებისათვის ცნობილი იყო, რომ კვლევას ატარებდა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი, რასაც შეიძლება ეფექტი მოეხდინა, განსაკუთრებითარსებული პროგრამების შეფასების ნაწილზე.

ასევე, კვლევის შეზღუდვადშეიძლება აღინიშნოს ის, რომ ბენეფიციარების გამოკითხვისას შეუძლებელი იყო ჩაძიების, კითხვების და პასუხების დაზუსტების შესაძლებლობა.

კვლევის შედეგი

გამოკითხულ სამხედრომოსამსახურეთა უმრავლესობა დადებითადაფასებს არსებულ პროგრამებს და მათი რესოციალიზაციის პროცესში თავდაცვის სამინისტროს როლს, თუმცა მხოლოდ 14% თვლის რომ ეს პროგრამები რესოციალიზაციის პროცესში საკმარისია, 21% კი მას არასაკმარისად მიიჩნევს. 42,1% მიაჩნია, რომ აღნიშულ რესურსებზე წვდომა მარტივია.



გამოკითხულთა 65% მიაჩნია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის ეტაპზე ეს სერვისები მათთვის სასარგებლო იყო.



ბოლო სამი წლის განმავლობაში კი ყველა მათგანმა ისარგებლა რომელიმე სერვისით. გამოკითხულთა 80% ჩართული იყო სპორტული აბილიტაციის პროგრამაში, 35% ისარგებლა რეპროთეზირებით, ხოლო 30% უწყებისგან მიიღო ფინანსური დახმარება.



დახურული კითხვებისას, გამოკითხულ სამხედრო მოსამსახურეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მეტწილად იცნობს მათთვის არსებულ პროგრამებს, თუმცა ღია კითხვებში მათ აღნიშნეს, რომ ისურვებდნენ უკეთ იცოდნენ ამ სერვისების შესახებ, განახლების ან ცვლილების შემთხვევაში კი ელექტრონულად ჰქონდეთ მისი დაუყოვნებლივ მიღების შესაძლებლობა.

გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ არსებულისერვისების მიღება მარტივი/მეტწილად მარტივია.



გამოკითხული სამხედრომოსამსახურეები მეტწილად დადებითად აფასებენ ფიზიკური რეაბილიტაციის პროცესს:

11. ათ შკალიანი სისტემიდან რამდენად შეაფასებდით ფიზიკური რეაბილიტაციის პროცესს?10 ნიშნავს ძალიან კარგს, 1 - ძალიან ცუდს

20 responses



ზოგადად, თავდაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხის შეფასება კი ასე გადანაწილდა:

13. ათ შკალიანი სისტემიდან რამდენად შეაფასებდით ზოგადად თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული სერვისების საერთო ხარისხს 10 ნიშნავს ძალიან კარგს, 1 - ძალიან ცუდს.

20 responses



სამხედრო მოსამსახურეები, მათი რეაბილიტაციის ეტაპს, ათ შკალიანი სისტემიდან აფასებენ შემდეგნაირად:

9. ათ შკალიანი სისტემიდან რამდენად შეაფასებდით თქვენი რეაბილიტაციის ეტაპს ამჟამად? 10 ნიშნავს ძალიან კარგს, 1 - ძალიან ცუდს.

20 responses



გამოკითხული სამხედრო მოსამსახურეების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მომავალში, თავდაცვის სამინისტროსგან, მათთვის მთავარი საჭიროება იქნება პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობა, ასევე ფინანსური უზრუნველყოფა.



მთავარი ხარვეზი, რაც აღინიშნა, როგორც დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეებისგან, ისე სფეროში მომუშავე სპეციალისტებისგან, არის გრძელვადიან სამკურნალო შვებულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების სამოქალაქო ცხოვრებაზე გადასვლის/ კარიერულ ზრდაში ხელშეწყობის პროგრამის არარსებობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც დაზიანებიდან გამომდინარე აქვთ სხვადასხვა ხარისხის შეზღუდვა. ტრანზიციის პროგრამის არარსებობამ შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს მათ სოციალურ იზოლაციაზე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაზე, ფინანსურ სტაბილურობაზე.

ასევე, სამხედრო მოსამსახურეებმა ხაზი გაუსვეს ღირსეული პენსიის არარსებობას და მათთვის ფინანსური სტაბილურობის გარანტიების მნიშვნელობას. გრძელვადიანი პერსპექტივაში, საპენსიო სისტემის არარსებობამ შესაძლებელია დრამატული გავლენა იქონიოს მათი ცხოვრების ხარისხზე და ფინანსურ უსაფრთხოებაზე, რადგან საპენსიოასაკის გამო დათხოვნისშემთხვევაში მათი ძირითადიშემოსავალი სულ მცირე 80% შემცირდება.

არსებული პროგრამებისთვის გამოწვევას წარმოადგენს ბენეფიციართა გაშლა საქართველოს მასშტაბით, არსებული ბენეფიტები თანაბრად არ არის ხელმისაწვდომი ყველა რეგიონში, ეს განსაკუთრებით ეხება რესოციალიზაციის ხელშემწყობ პროგრამებს.

კვლევის ეტაპზე,სპეციალისტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, არსებული პროგრამების მთავარ ხარვეზად შეიძლება გამოვყოთ ის, რომ ბენეფიციარებისათვის არ არსებობს ინდივიდუალურად გაწერილი გრძელვადიანი გეგმა. მთელი რიგი მხარდამჭერი პროგრამების მიუხედავადი, აღნიშულით ვერ ხდება ბენეფიციართა გრძელვადიანი საჭიროებებისა და მიზნების უზრუნველყოფა, რამაც შესაძლებელია საბოლოოდ გამოიწვიოს არაოპტიმალური შედეგი, დაბნეულობა, იმედგაცრუება, რაც მნიშვნელოვნად შეაფერხებს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესს. მომავლისადმი მკაფიო ხედვის არარსებობა ცუდად აისახება დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეების მოტივაციაზე. ეს შეიძლება იყოს მიზეზი, რატომაც იჩენენ ბენეფიციარე-

-ბი ნაკლებ ჩართულობას რეინტეგრაციის კუთხით არსებული მთელი რიგი პროგრამებისადმი. ამასთანავე, გაურკვეველმა მომავალმა და მიზნის არარსებობამ შესაძლებელია გაზარდოს ისეთი ჯანმრთელობის პრობლემები, როგორიც არის მაგალითად დეპრესია, შფოთვა.

ჩატარებულმა კვლევამ გამოიკვეთა ის მოლოდინები, რაც დაჭრილ/დაშავებულ მოსამსახურეებს და მათთან მომუშავე სპეციალისტებს სამოქალაქო სექტორისგან აქვთ. განვითარებული ქვეყნებში მსგავსი პროგრამებისგან განსხვავებით, საქართველოში სამოქალაქო სექტორი მინიმალურად არის ჩართული დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების მხარდაჭერის პროცესში.

დაჭრილმა სამხედროებმა და მათთან მომუშავე სპეციალისტებმა გამოთქვეს დიდი სურვილი სამოქალაქო სექტორისგან მეტი ჩართულობა იყოს ისეთ საკითხებში, როგორიც არის სხვადასხვა სახის ბენეფიტების შეთავაზება (განსაკუთრებით რეგიონებში), დასაქმებაში ხელშეწყობა, დაბალ პროცენტიანი სესხების შეთავაზება, ემოციური მხარდაჭერის ხაზგასმა და ზოგადად საზოგადოების ინფორმირება მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ.

კვლევაში, ღია კითხვების დახმარებით, დაჭრილმა სამხედრო მოსამსახურეებმა გამოთქვეს სურვილი უფრო მეტი ინდივიდუალური მუშაობა მიმდინარეობდეს მათი საჭიროებების, მათ შორის სოციალური და ფინანსური, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მიმართულებით არსებული გამოწვევების გამოსავლენად და გადასაჭრელად.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძება ითქვას, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ წარმატებით შეძლო მის დაქვემდებარებაში მყოფი დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისათვის, პირველ ეტაპზე, დაეკმაყოფილებინა ძირითადი საჭიროებები, როგორიც არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციით უზრუნველყოფა, საპროთეზო-ორთოპედიული საჭიროებებით დაკმაყოფილება, ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო პროცედურების გატარება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ხელშეწყობა, თუმცა დღის წესრიგში დგას მთელი რიგი გამოწვევები, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია მომავალში დაჭრილი/დაშავებული მოსამსახურეების მდგრადობაზე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კუთხით, ისე მათი მენტალური და ფიზიკური მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ბენეფიციარმა ისარგებლა არსებული სერვისებით, კვლევა ხაზს უსვამს რიგ სფეროებს, სადაც გაუმჯობესებაა საჭირო.არსებული პროგრამების წინაშედგას გრძელვადიანი გამოწვევები, რომელიც საჭიროებს უწყებათაშორის ჩართულობას, ძირეულ ცვლილებებს კანონმდებლობის დონეზე, გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბებას, რომელიც შეძლებს ბენეფიციართა ამ განსაკუთრებულ ჯგუფს შესთავაზოს მხარდამჭერი სერვისების უფრო სრულყოფილი სპექტრი.

ბენეფიციართა უმრავლესობა, მათი რეაბილიტაციის პროცესში თავდაცვის სამინისტროს როლს დადებითად აფასებს, რაც თავისთავად კარგია, თუმცა მეორეს მხრივ, სრულყოფილი რესოციალიზაციისთვის აუცილებელია ბენეფიციართა გარკვეული ხარისხის ავტონომიურობა, დამოუკიდებლობა და ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფ-

-ილების კუთხით გარანტიების არსებობა, რაც მოითხოვს უწყებისმხრიდან დროში გაწერილიხედვის ჩამოყალიბებას და შესაბამისი პროგრამების შექმნას.

რეკომენდაციები

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს:

- ბენეფიციართა ინფორმირებულობის გაზრდა - უზრუნველყოს დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების არსებული ყველა პროგრამებისა და ბენეფიტების შესახებ სრულყოფილი ინფორმირება. გამოყენებულ იქნას ყველა შესაძლო არხი, როგორც სოციალური მედია, ისე ინდივიდუალური შეხვედრები, როგორც ქეის-მენეჯერების დახმარებით, ისე სფეროში მომუშავე სხვა სპეციალისტებთან ერთად. ინფორმირებულობის გაზრდის კუთხით, მნიშვნელოვან დასაყრდენად შესაძლებელია იქცეს მარო მაყაშვილის სახელობის სარეაბილიტაციო სამსახური (დაბა წეროვანი), რომელიც დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის წარმოადგენს ძირითადი თავშეყრის ადგილს.
- გრძელვადიანი ინდივიდუალური გეგმით მუშაობის დანერგვა - სამკურნალო შვებულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისათვის სტანდარტიზებული, გრძელვადიანი ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რომელიც ასახავს მათ რესოციალიზაციის მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს და მათ მისაღწევად საჭირო ნაბიჯებს. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი მიენიჭებათ უწყებაში მომუშავე ქეის-მენეჯერებს, რომლებსაც მეტწილად აქვთ ინფორმაცია ბენეფიციარების საჭიროებებისა და რესურსის შესახებ. მათ სურვილებს იდენტიფიცირების შემდეგ, ქეის-მენეჯერები სამხედრო მოსამსახურეებს ინდივიდუალურად გაუწევენ ადვოკატირებას როგორც უწყების შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.გრძელვადიანი გეგმაზე მუშაობა ბენეფიციარებს მისცემს შესაძებლობას იცოდნენ როგორ ვითარდება მათი მომავალი, ექნებათ სტაბილურობის განცდა და ეტაპობრივად გაეზრდებათ დამოუკიდებლობის ხარისხი.
- ტრანზაციის პროგრამის შემუშავება - თავდაცვის სამინისტროს, რომელიც არის ძალოვანი უწყება, ექნება გრძელვადიანი, სტანდარტიზებული ხედვა, თუ რა გზას გაივლის მისი სამხედრო მოსამსახურე დაჭრის ფაქტის დადგომიდან, სამოქალაქო ცხოვრებაზე გადასვლის/აქტიურ სამხედრო სამსახურში დაბრუნებამდე. ეს დაამთავრებს გრძელვადიანი სამკურნალო შვებულების პრაქტიკას, რომელიც არის დროებითიგამოსავალი. ბენეფიციარებს ექნებათ შესაძლებლობა აირჩიონ ის გზა, რომელიც მათთვის არის სასურველი- დარჩნენ აქტიურ სამხედრო სამსახურში თუ გადავიდნენ სამოქალაქო სექტორში. გამომდინარე იქიდან, რომ ეს პროგრამა არის კომპლექსური და მოითხოვს ძირეულ ცვლილებებს, პირველ ეტაპზე, მნიშვნელოვანია შეიქმნას შიდა უწყებრივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც დააიდენტიფიცირებს ყველა ხარვეზსა თუ გასატარებელ ღონისძიებებს.

საქართველოს მთავრობას:

- საპენსიო რეფორმა - აუცილებელია არსებული საპენსიო პოლიტიკის გადახედვისა და რეფორმირების პროცესისათვის პრიორიტეტის მინიჭება, რათა დროულად მოხდეს სამართლიანი და ღირსეული პენსიით ბენეფიციარების უზრუნველყოფა.

- სამოქალაქო სექტორის ჩართულობის წახალისება - მიეცით სტიმული სამოქალაქო სექტორს მონაწილეობა მიიღონ დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების მხარდაჭერის პროგრამებში, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები ან გრანტები.

სსიპ ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურს - მნიშვნელოვანია დროულად მოხდეს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებისათვის ვეტერანის სტატუსის მინიჭება, რათა მათ შეძლონ ისარგებლონ ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის მიერ შეთავაზებული ბენეფიტებით.

ბიბლიოგრაფია

1. ვეტერანთა სახელმწიფო სამსახური - https://veterans.gov.ge/%e1%83%a9%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%a1-%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%ae%e1%83%94%e1%83%91/
2. „საქართველოს სამხედრო ძალებში სამხედრო-საექიმო ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“ 1996 წლის 24 დეკემბრის № 360 ბრძანება - https://gmas.ge/2018/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/16250/
3. „სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №238 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5621143?publication=0
4. სოციალური მხარდაჭერა - https://defencesupport.mod.gov.ge/
5. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (2021-2025) - https://mod.gov.ge/uploads/upload_new/tavdacvis_strategiuli_mimoxilva.pdf
6. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - https://mod.gov.ge/ge/page/51/help
7. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სოციალური დაცვა - https://mod.gov.ge/ge/page/43/programs
8. დაჭრილ მებრძოლთათანადგომის ფონდი - http://www.wwsf.ge/ka/
9. ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის დებულება - https://veterans.gov.ge/%e1%83%93%e1%83%94%e1%83%91%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%a8%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%ac%e1%83%94/
10. სოციალურ საკითხთადა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის დებულება, დადგენილებ №580, 2018 წელი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/4397522?publication=0
11. ვეტერანთა სახელმწიფო სამსახური - https://veterans.gov.ge/%E1%83%AE%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-.%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/